MES 7 23 0001012535

18/08/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი
ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. **სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის კოორდინატორი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის კოორდინატორი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთევანი კევლიშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

თამარ ფიფია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპსსკოლა-ლიცეუმისანთელი

დალი ჯანიაშვილი-დირექტორის მოადგილე

სსიპ - ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლა

ირმა ჩარტია-დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპსსკოლა-ლიცეუმისანთელი

ლელა ჯაში- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
მამუკა ხამხაძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ეკატერინე ვეკუა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
იოსებ ლაზარიშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნათელა ბასილია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ნაია ენდელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
დიმიტრი პოპოვი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
სოფიო ხვადაგიანი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ირაკლი ქობალია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
ლელა მანგოშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;
მიხეილ გაფრინდაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლა

ლელა ჯაში - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
დიმიტრი ქარსელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ნონა ლაგვილავა -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნინო მიმინოშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნინო ავალიანი -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ხათუნა კალმახელიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ჟანა ბელქანია -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ნიკოლოზ ჩუბინიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
თეონა აბრამიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
ედუარდ ნაკაიძე -სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ნატო ხაჭაპურიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 /ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 04 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს სკოლა-ლიცეუმ სანთელის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, თამარ შენგელიამ, შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე, ემსჯელათ შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის მიმართ გაცემული რეკომენდაციის შესრულების საკითხთან დაკავშირებით. ასევე, დღის წესრიგს პირველ საკითხად დამატებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 მარტის N351838 სხდომის ოქმის კორექტირების საკითხის განხილვა. კერძოდ, საჭირო იყო დაკორექტირებულიყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 მარტის N351838 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი, კერძოდ კი შპს მომავლის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.
საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი შუამდგომლობა, შედეგად, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის დაწყებამდე, გადაწყდა შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის საკითხის შესახებ მსჯელობა, ხოლო დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 მარტის N351838 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილის კორექტირების საკითხის განხილვა;**
2. **შპს სკოლა-ლიცეუმ სანთელის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;**
3. **სსიპ - ქალაქთბილისის №29 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.**

ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, ქალაქ ბათუმში მდებარე შპს ქართულ-ამერიკულმა სკოლა პროგრესმა 2023 წლის 19 ივნისს ცენტრში წარმოადგინა წერილი (ცენტრში რეგისტრაციის N711210) მიმდინარე წლის 04 აპრილის საბჭოს სხდომის N376560 ოქმით

გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ. თუმცა, როგორც წერილიდან ირკვეოდა, დაწესებულებას პრობლემა ჰქონდა შენობის ექსპლუატაციაში მიღების დოკუმენტის წარმოდგენასთან დაკავშირებით და ოქმში მითითებულ ვადაში, 2023 წლის 15 ივნისამდე, ვერ შეძლო აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება თხოვნით მიმართავდა საბჭოს, შენობის ექსპლუატაციაში მიღების დოკუმენტის წარმოდგენის ვადად განესაზღვრათ 2023 წლის 01 სექტემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან საჭირო იყო დამატებით კითხვებზე პასუხის გაცემა, იმისთვის რომ საბჭოს მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება, მით უფრო, რომ საბჭომ ერთხელ უკვე გადაუვადა დაწესებულებას დოკუმენტაციის წარდგენის ვადა.

საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, ცენტრის მოწვევით აღნიშნულ საბჭოზე, ესწრებოდნენ სკოლის წარმომადგენლები, შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორი, ნინო ჩიკვაშვილი და სკოლის თანადამფუძნებელი „ანაგი განათლების“ იურისტი, დავით ანდღულაძე.

სკოლის თანადამფუძნებელი „ანაგი განათლების“ სკოლის იურისტმა ისაუბრა, თუ რატომ გახდა კიდევ ერთხელ საჭირო აღნიშნული დოკუმენტის წარდგენის გადავადება საჭირო. იურისტის განცხადებით, ექსპლუატაციის პროცედურებთან დაკავშირებით, რომელსაც ახორციელებდა მუნიციპალური ინსპექცია, ექსპლუატაციის კომისიის მხრიდან შენიშვნებთან დაკავშირებით რამდენჯერმე გახდა საჭირო პროექტის კორექტირება. მიმდინარე წლის 02 აგვისტოს მერიამ გამოსცა შეთანხმების შესახებ ბრძანება. იურისტის განმარტებით, აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, მუნიციპალური ინპექციის წარმომადგენლებთან ერთად, ადგილზე იქნა შესწავლილი თითოეული შენიშვნა, რაც სკოლის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ ასახეს პროექტში და შესათანხმებლად შეიტანეს მერიაში, ხოლო მერიამ განცხადება დააკმაყოფილა. იურისტის განცხადებით, მოცემულ მომენტში რაც იყო აშენებული და რაც იყო გეგმა-პროექტში ასახული ერთი და იგივე იყო. შესაბამისად, ექსპლუატაციაში შესვლის რისკი არ არსებობდა და უახლოეს მომავალში მუნიციპალური ინსპექციის მხრიდან სკოლაში წარმოდგენილი იქნებოდა ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტი.

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის გენერალურმა დირექტორმა, ნინო ჩიკვაშვილმა განაცხადა, რომ მას ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდა დოკუმენტაცია (ცენტრში რეგისტრაციის N964470 წერილი), შეთანხმება მერიასთან და აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში ექნებოდათ მუნიციპალური ინსპექციიდან ბრძანება შენობის ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, შენობის ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტის წარდგენის გადავადებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, თუ როდის ექნებოდა სკოლას მუნიციპალური ინსპექციიდან შენობის ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ ბრძანება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა, ნინო ჩიკვაშვილმა, განაცხადა, რომ 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე შესაძლებელი იქნებოდა აღნიშნული დოკუმენტაციის მიღება, რადგან, მერიიდან შეთანხმების ბრძანება ამ ეტაპისთვის უკვე ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, რომ დოკუმენტის წარდგენის ვადად განესაზღვრათ 2023-2024 სასწავლის წლის დასაწყისი, 15 სექტემბერი. აღნიშნული გაზიარებული იქნა საბჭოს წევრების მხრიდან.

საბჭოს წევრების ერთობლივი გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა შენობის ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტის ცენტრში წარმოდგენის ვადა, კერძოდ, სკოლას აღნიშნული დოკუმენტი უნდა წარმოედგინა 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე, 15 სექტემბრამდე.

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 მარტის N351838 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილის კორექტირების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენლის, თამარ შენგელიას განმარტებით, შპს მომავლის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის საკითხის განხილვისა და 2023 წლის 28 მარტის N351838 სხდომის ოქმისა და შესაბამისი გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შემდეგ, ცენტრში წარმოდგენილი იყო გაცხადებები მოსწავლის მშობლის მიერ, რომლის საფუძველზეც ცენტრის წარმომადგენლებს ჰქონდათ შეხვედრა მოსწავლის მშობელთან და გაზიარებული იქნა მისი პოზიცია. კერძოდ, პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროების თავიდან აცილების მიზნით, მოთხოვნილ იქნა, მისი შვილის შესახებ სხდომის ოქმში წარმოდგენილი ინფორმაციის ოქმის აღწერილობითი ნაწილიდან ამოღება.,

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნული საკითხის ირგვლივ და გამოხატეს მოსაზრებები. საბჭოს წევრთა შეფასებით, განმცხადებლის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იყო ოქმის აღწერილობითი ნაწილის დაკორექტირება და არსებული ფორმულირება ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:
,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბაცანკალაშვილი და ცირა ნიკოლაშვილმა.
ექსპერტ, ქეთევან ბაცანკალაშვილის განცხადებით, 2022 წლის 03 ნოემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შევიდა კორესპონდენცია, რომელშიც შპს მომავლის სკოლის ყოფილი მოსწავლის მშობელი მიმართავდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს თხოვნით დაწყებულიყო მოკვლევა აღნიშნული სკოლის მხრიდან ბავშვის ფუნდამენტური უფლების დარღვევასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებით.
ექსპერტმა, განაცხადა, რომ მშობლის მიერ დასახელებული გარემოებების მოსაკვლევად, დღის წესრიგში დადგა შპს მომავლის სკოლის ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმება, რა მიზნითაც ცენტრის ბრძანებით, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლით, მე-7 მუხლის „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტებითა და მე-8 მუხლით განსაზღვრული სტანდარტების კომპონენტების შესრულების შემოწმება.
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში არაგეგმიური მონიტორინგი განხორციელდა 2023 წლის 16-17 იანვარს. ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის ფარგლებში, შეისწავლა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებები, დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაცია, აწარმოეს გასაუბრებები სასკოლო საზოგადოების არაერთ წარმომადგენელთან, მათ შორის მშობლებთან და გამოიკვლიეს მოსწავლეთა მოძრაობა დაწესებულების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში Eschool-ში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ 2022 წლის 24 აგვისტოს აღნიშნულ დაწესებულებას მიენიჭა ავტორიზაცია. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ხარვეზი არ იყო გამოვლენილი, გაცემული იყო მხოლოდ რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც სკოლას შესრულებული ჰქონდა.

საბჭოს სხდომაზე ქეთევან ბაცანკალაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულება ახორციელებდა ავტორიზებულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს სამივე საფეხურზე, რომლებიც გამომდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმიდან. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნიშანდობლივი ნაწილი იყო ამერიკული პროგრამის საგნების დამატებითი სავალდებულო მომსახურების სტატუსით გათვალისწინება I-IX კლასის მოსწავლეთათვის, ხოლო დამატებითი ფაკულტატური მომსახურების სტატუსით X-XII კლასის მოსწავლეთათვის. ამავე დროს, ამერიკული პროგრამის სრული კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, მოსწავლე სრული ზოგადი განათლების ატესტატთან ერთად იღებდა ამერიკული სკოლის დიპლომს. სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 145 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 78 მოსწავლე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული სწავლების ფორმატი ავტორიზებულ პროგრამაზე, სკოლას შეთანხმებული ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ბოლო შეთანხმება განხორციელდა 2022 წლის იანვარში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ გასცეს რეკომენდაცია განეახლებინათ საათობრივი ბადე, რათა უკეთ გამოჩენილიყო ამერიკული პროგრამის საგნების დატვირთვა. ექსპერტმა დამატებით აღინიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან არგუმენტირებულ პოზიციაში, ხარვეზი გამოსწორებული იყო.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში მონიტორინგის ბრძანების თანახმად, მათ არ ჰქონდათ აღნიშნულის შემოწმების დავალება, ადგილზე დაკვირვებით დადგინდა, რომ დაწესებულების კიბის I და II სართულის უჯრედი, ასევე, შემოსასვლელის შიდა ფოიე არ კონტროლდებოდა ვიდეო-კამერებით. დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია აღნიშნული სივრცის ვიდეო-კამერებით გაკონტროლებასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საქმისწარმოების ამერიკული პროგრამის საქმისწარმოებისგან გამიჯვნის შესახებ, რომელიც სკოლამ გაითვალისწინა.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლას მიეცა რეკომენდაცია, EMIS-ის ბაზაში I-IX კლასებში დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურების პედაგოგთა ინფორმაციის ასახვის შესახებ, აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ცალკე სექტორის სახით ახორციელებდა ამერიკულ პროგრამას, რომელზეც ირიცხებოდა 73 მოსწავლე, აქედან 8 მოსწავლე სარგებლობდა დისტანციური სწავლების ფორმატით, ისინი არ გადიოდნენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პროგრამას და შესაბამისად არ იღებდნენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს. აღნიშნული მოსწავლეები არ ფიქსირდებოდნენ სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool ბაზაში. მოსწავლეთა მცირედი ნაწილი საქართველოს, ხოლო უმეტესი ნაწილი საზღვარგარეთის მოქალაქე იყო, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ამერიკული პროგრამის მოსწავლეების კანონიერ წარმომადგენლებს ჰქონდათ წინასწარი განმარტება და მზაობა იმის შესახებ, რომ აღნიშნული მოსწავლეები ვერ მიიღებდნენ ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ ატესტატს ან მასთან გათანაბრებულ დოკუმენტს. სკოლის განმარტებით, ამერიკულ პროგრამაზე ჩარიცხულ მოსწავლეთა მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები თანხმობას აცხადებდნენ, მათ შვილებს

მიეღოთ მხოლოდ ამერიკული პროგრამის დიპლომი, თუმცა ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული პირობა არ იყო ასახული მშობლებსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

ექსპერტის განმარტებით, შპს მომავლის სკოლის მიერ ამერიკული პროგრამის ცალკე სექტორის სახით განხორციელება შეუსაბამო იყო საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში დასაშვები იყო მხოლოდ იმ საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომლის აღიარებისთვისაც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს უცხო ქვეყნის უფლებამოსილ ინსტიტუტთან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება. ექსპერტის განცხადებით, ამერიკული პროგრამის ,,ACE SCHOOL OF TOMORROW”-ს აღიარების თაობაზე ცენტრსა და უცხო ქვეყნის უფლებამოსილ ინსტიტუტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების არსებობა არ დასტურდებოდა.

ექსპერტმა, განაცხადა, რომ დაწესებულების ავტორიზებული პროგრამების მოსწავლეები დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურების ფარგლებში ინგლისურენოვან საგნებს ესწრებოდნენ ამერიკულ პროგრამაზე რეგისტრირებულ მოსწავლეებთან ერთად. როგორც აღინიშნა, ამერიკული პროგრამის მოსწავლეები არ იყვნენ დარეგისტრირებულნი სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო ESchool ბაზაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა აღნიშნული მოსწავლე ირიცხებოდა თუ არა სკოლის ავტორიზებულ პროგრამებზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა განაცხადა, რომ 2016 წლის 10 ოქტომბრიდან მოსწავლე აღარ ირიცხებოდა დაწესებულების ავტორიზებულ პროგრამაზე.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ როდესაც აღნიშნულმა სკოლამ ავტორიზაცია გაიარა, ამერიკული პროგრამა წარმოდგენილი იყო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით, იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც იყვნენ ჩარიცხულები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებულ სკოლაში. ამერიკულ პროგრამასთან მიმართებით, ის დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას ცალკე სექტორი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, მათ ამერიკული სექტორი უცხოელებისთვის ცალკე ჰქონდათ.

საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა იმ გარემოებით, რომ ავტორიზებული სკოლა ახორციელებდა საქმიანობას, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მოითხოვდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებას პროგრამის აღიარების თაობაზე.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით წარმოდგენილი პროგრამა არ იყო აღიარებული.

საბჭოს წევრი, თამარ მამსკიკაშვილი დაინტერესდა, სავალდებულო იყო თუ ნებაყოფლობითი ამერიკული პროგრამა კანონმდებლობით დადგენილი წესით ავტორიზებულ სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განაცხადა, რომ ამერიკული პროგრამა 1-9 კლასამდე იყო სავალდებულო, ხოლო 10-12 კლასებში არჩევითი, თუმცა, ექსპერტმა, ასევე აღნიშნა, რომ მოსწავლეების უმრავლესობა ირჩევდა ამერიკულ პროგრამას, რათა მიეღოთ ამერიკული დიპლომი, აქედან გამომდინარე, ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლობდნენ ავტორიზებულ და ასევე არაავტორიზებულ პროგრამაზე, ერთად გადიოდნენ ამერიკული პროგრამის საგნებს.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განაცხადა, რომ ვიზიტის მიზანი იყო, შეეფასებინათ დაწესებულების მიერ ავტორიზაციის სტანდარტების შესრულება და მშობლის განცხადებაში

დაფიქსირებულ დარღვევებისთვის გაეცათ პასუხები. ასევე აღნიშნა, შპს მომავლის სკოლა, რომელიც ავტორიზებული დაწესებულება იყო, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად, ერთ შენობაში ახორციელებდა ამერიკულ პროგრამას უცხოენოვანი მოსწავლეებისთვის. ამერიკულ პროგრამაზე რეგისტრირებული მოსწავლეები ერთად გადიოდნენ საგნებს ქართულენოვან ავტორიზებულ პროგრამებზე ჩარიცხულ მოსწავლეებთან ერთად. ექსპერტის განმარტებით, სკოლაში იყო ასევე რამდენიმე ქართველი მოსწავლე, რომლებიც სხვა სკოლაში იღებდნენ ზოგად განათლებას, ხოლო შპს მომავლის სკოლაში დადიოდნენ ამერიკული პროგრამის შესასწავლად.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა იყვნენ თუ არა EMIS-ის ბაზაში დარეგისტრირებულები უცხო ქვეყნის მოსწავლეები, რომლებიც ამერიკულ პროგრამაზე სწავლობდნენ.
ექსპერტმა განაცხადა, რომ უცხო ქვეყნის მოსწავლეები, რომლებიც ამერიკულ პროგრამაზე სწავლობდნენ არ ირიცხებოდნენ EMIS-ის ბაზაში.
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა თუ აღნიშნული მოსწავლე არ ირიცხებოდა EMIS-ის ბაზაში, აღნიშნულ შემთხვევაში თუ რატომ გახდა საკითხი მონიტორინგის დანიშვნის საფუძველი და საბჭოს განხილვის საგანი. მან მიმართა სკოლას ახორციელებდა თუ არა დაწესებულება აღნიშნულ ამერიკულ პროგრამას დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით თუ ცალკე სექტორის სახით.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლაში ამერიკული პროგრამა ხორციელდებოდა ცალკე სექტორის სახით.
საბჭოს წევრი, გიორგი გიგიბერია დაინტერესდა, თუ რატომ განიხილებოდა დამატებით საგანმანათლებლო მომსახურება (წრე), არაავტორიზებულ ამერიკულ საგანმანთლებლო პროგრამად.
ექსპერტმა, განაცხადა, რომ ეს არ იყო წრე, ამერიკული პროგრამა იყო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც გასცემდა ამერიკული სკოლის დიპლომს, რომლითაც მოსწავლეები საზღვარგარეთ, აბარებდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტებში. აქვე, ექსპერტმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით საქართველოში დასაშვები იყო მხოლოდ იმ საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომლის აღიარებისთვისაც სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს უცხო ქვეყნის უფლებამოსილ ინსტიტუტთან ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება.“
ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, თამარ შენგელიამ პოზიციის დაფიქსირების უფლება ითხოვა საბჭოსგან და აღნიშნა, რომ სკოლაში მონიტორინგის განხორციელების საფუძველი გახდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული საჩივარი, რომელიც შეეხებოდა ავტორიზაციის სტანდარტების და მოსწავლის უფლებების სავარაუდო დარღვევის გარემოებებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მომავლის სკოლის ავტორიზაციის გაუქმებას თან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.“

კენჭისყრისშედეგები

მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს მომავლის სკოლის (ს/კ: 211356272) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.“

საბჭოს წევრთა შეფასებით, განახლებული ფორმულირება ასახვდა იმ ინფორმაციას, რაც საბჭოს წევრებისათვის საჭირო იყო საქმის გარემოებების სრული და ობიექტური შეფასებისათვის და რაც თავის მხრივ წარმოადგენდა კანონის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. ამასთან, განახლებული ფორმულირებით დაცული იყო განმცხადებლის პერსონალური ინფორმაცია, რისი დამუშავებაც არამიზნობრივი და არაპროპორციული იყო მოცემული წარმოების მიზნებისათვის.

2. შპს სკოლა-ლიცეუმ სანთელის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ჯაშმა და მამუკა ხამხაძემ. ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 30 და 31 მაისს. დაწესებულება მდებარეობდა ქ. თბილისში, მუხაძის N15-ში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 140 მოსწავლე.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა ისაუბრა და ფოტო-მასალა წარმოადგინა სკოლის მატერიალური რესურსისა და ინფრასტრუქტურის შესახებ. ექსპერტის თქმით, დაწესებულება განთავსებული იყო ორსართულიან შენობაში, მან აღნიშნა, რომ სკოლის ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია ერთ სივრცეში იყო განთავსებული. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომ გამიჯნულიყო ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია. ასევე, დაწესებულებას მიეცა მითითება, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში სავალდებულო იყო დაემონტაჟებინათ ხელსაბანი. სკოლის სპორტული დარბაზი სრულად იყო აღჭურვილი სპორტული ინვენტარით, ასევე, სკოლას ჰქონდა გარე სპორტული მოედანი. სკოლას ჰქონდა ადაპტირებული, კეთილმოწყობილი სველი წერტილები და პანდუსი.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ოთხივე სტანდარტის მიხედვით შეისწავლა სკოლის დოკუმენტაცია. მისი განცხადებით, სკოლამ ითანამშრომლა ექსპერტთა ჯგუფთან, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას სრულად გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნის პროექტში დაფიქსირებული ხარვეზები. დაწესებულებამ წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის

გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაწერილი იყო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და საჭირო რესურსები.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა წარმოადგინა რეკომენდაციები, რაც ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნაში იყო ასახული.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, სკოლა-ლიცეუმ სანთელის მისია, ხედვა და ღირებულებები პასუხობდა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს. დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების განხილვა და დამტკიცება მოხდა პედაგოგიურ საბჭოზე (ოქმი N1. 07.09.2022წ) თუმცა, სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული მეთოდოლოგია, რომელიც საშუალებას მისცემდა ყველა დაინტერესებულ პირს (მათ შორის მოსწავლეს, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს) მონაწილეობა მიეღოთ შედგენის პროცესში - რათა მისია, ხედვა და ღირებულებები ზუსტად და მკაფიოდ ასახავდეს სკოლის დანიშნულებას, სამომავლო გეგმებს თუ ღირებულებათა ძირითად მახასიათებელს. დაწესებულებას არ ჰქონდა გაწერილი მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარების მექანიზმები.
ექსპერტის, ლელა ჯაშის განმარტებით, სკოლის ხედვა და ღირებულებები დეკლარირებული იყო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში. აგრეთვე, ხელმისაწვდომი იყო სკოლის ვებ-გვერდზე (სკოლის მისიასთან ერთად ვებ-გვერდზე წარმოდგენილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიზნები). სკოლის ხედვა და ღირებულებები ერთიანი ფორმულირებით იყო წარმოდგენილი და არ შეესაბამებოდა სტრატეგიული განვითარების გეგმაში არსებულ დეფინიციას. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი იყო შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. შესაბამისად, პირველი სტანდარტის 1.1 კომპონენტი შეფასდა სრულად შესაბამისად.
ექსპერტმა, ლელა, ჯაშმა განაცხადა, რომ სკოლის ადმინისტრაციამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესის დამადასტურებელი მტკიცებულებები (მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები, შეხვედრის სხდომის ოქმებია ა.შ.). ექსპერტის განცხადებით, ვიზიტისას ინტერვიუირების დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ არ ახდენდნენ შეხვედრების და/ან დაგეგმილი აქტივობების დოკუმენტირებას. სკოლამ წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 14.07.2023-20.09.2023) შესაბამისად, 1.2 კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ სკოლას ყველაზე მეტი გამოწვევები ჰქონდა მესამე სტანდარტში. ექსპერტის მხრიდან რეკომენდაცია გაიცა 3.1.2.3 ინდიკატორთან მიმართებით. მასწავლებელთა პირად საქმეებში ყველა მასწავლებელს არ ჰქონდა წარმოდგენილი ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ. სკოლის პედაგოგებმა უზრუნველყონ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენა სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაიწერა აღნიშნული ხარვეზის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 10.07.2023-31.08.2023). შესაბამისად, კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ დაწესებულების მე-2 სართულის საევაკუაციო გასასვლელი რისკებს ქმნიდა მოსწავლეთა გადაადგილებისათვის, ამიტომ რეკომენდაციები გაიცა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებითაც. სკოლას უნდა უზრუნველეყო საევაკუაციო

გასასვლელის უსაფრთხოება. ლელა ჯაშის თქმით, სკოლამ აღნიშნულის აღმოფხვრა გაწერა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. შესაბამისად, კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ დაწესებულებას მეოთხე სტანდარტთან მიმართებით ხარვეზი არ უფიქსირდებოდა და შესაბამისად, არ გაცემულა რეკომენდაციები.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განმარტა, რომ ხარვეზი დაფიქსირდა მეორე სტანდარტში, კურიკულუმის, სამივე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო), ნაწილში. თითქმის ყველა საგნობრივი ექსპერტის მხრიდან გაიცა ერთი და იგივე რეკომენდაციები, რადგან ყველა საგანში დაფიქსირებული ხარვეზი იყო იდენტური. ყველა საგნის ექსპერტმა ერთხმად აღნიშნა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლას ჰქონდა მზაობა, შესაძლებლობა, რომ ყველა საგნის კურიკულუმი მოეყვანა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდართან შესაბამისობაში, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმაში მითითებული აქტივობებისა და განსაზღვრული დროის შესაბამისად.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა სკოლის მიერ მოთხოვნილ ბავშვთა რაოდენობასთან დაკავშირებით, იყო თუ არა საკმარისი სკოლაში საკლასო ოთახების რაოდენობა და შესაბამისი ინვენტარი. ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ სკოლა მზად იყო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 140 მოსწავლისათვის.

საბჭოს წევრები, თამარ მამსიკაშვილი და პეტრე შენგელია დაინტერესდნენ სკოლის ინფრასტრუქტურით, რომელიც ეხებოდა ადაპტირებულ სველ წერტილს, პანდუსს და სკოლის ეზოს ღობეს. დაცული იყო თუ არა ამ მხრივ სკოლის უსაფრთხოება. ამ საკითხთან დაკავშრებით ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა ღობე, პანდუსი ეტლით მოსარგებლე პირთათვის და დაცული იყო უსაფრთხოების ნორმები.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა და მიმართა საგნობრივ ექსპერტებს, ჰქონდათ, თუ არა მათ ინფორმაცია, სკოლაში არსებული ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქციონირების შესახებ, თუ რა სახის დახმარებას უწევდა აღნიშნული ჯგუფი მასწავლებლებს. უცხოური ენების ექსპერტმა, ნათელა ბასილიამ განაცხადა, რომ ის გაეცნო დოკუმენტაციას ჯგუფის საქმიანობის შესახებ და კათედრის შემაჯამებელი ოქმებში წარმოდგენილი იყო ჯგუფის ანგარიშები, საიდანაც ჩანდა კათედრების თანამშრომლობა, მათი უკუკავშირი და შესაბამისი რეაგირებები.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ განაცხადა, რომ სკოლაში 2020 წლიდან დირექტორის ბრძანებით ფუნქციონირებდა ხარისხის ჯგუფი, მასში შედიოდა 6 მასწავლებელი. ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ აღნიშნა, რომ შეხვედრები ჰქონდათ ჯგუფის წევრებთან, რა დროსაც გამოვლინდა მათი მაღალი თანამშრომლობითი კულტურა. ჯგუფს შემუშავებული ჰქონდა ხარისხის მართვის დებულება, ჰქონდათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა/გეგმა, დოკუმენტურ დონეზე სრულყოფილად იყო წარმოდგენილი. მაგრამ, რაც შეეხებოდა პრაქტიკულ საქმიანობას, ის სამუშაო შეხვედრები, როგორც კათედრის შიგნით, ასევე წევრებს შორის, ის ურთიერთდასწრებები გაკვეთილებზე, რასაც სკოლა ახორციელებდა ამის დოკუმენტირება არ ჰქონდათ. ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ, აღნიშნა, რომ სკოლა ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეძლებდა თითოეულ ხარვეზთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებას.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა 3.6.2.1 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც დაფიქსირებული იყო ხარვეზი. სარეგისტრაციო ჟურნალებში ბრძანებების ნუმერაციაში არ იყო დაცული რიგითობა. გარკვეულ შემთხვევებში, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს არ ჰქონდა სათაური, ასევე, არ იყო მითითებული ის

ორგანო, რომელშიც შეიძლებოდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა. სკოლას სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებული ჰქონდა, რომ ხარვეზს გამოასწორებდა, ბრძანებებს მოიყვანდა შესაბამისობაში საქართველოს „ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან“, თუმცა, 14 ივლისს გამოცემულ ბრძანებაში ეს პირობები არ იყო შესრულებული. დაწესებულების წარმომადგენელმა, შპს სკოლა-ლიცეუმ სანთელის დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესებსა და ხარისხის მართვის დარგში, დალი ჯანიაშვილმა, განმარტა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა ტექნიკური ხასიათის შეცდომას. რასაც შემდგომში გაითვალისწინებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების დირექტორის მოადგილემ, დალი ჯანიაშვილმა, აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 140 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა-ლიცეუმ სანთელის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის, საკითხი.
დაწესებულებამ შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, რადგან, 2017 წლის 07 აგვისტოს საბჭოს N87 გადაწყვეტილების თანახმად დაწესებულებას ავტორიზაცია მიენიჭა 6 წლის ვადით, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2023 წლის 07 აგვისტო.
საბჭომ გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა - ლიცეუმ სანთელს (ს/კ: 406091857) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 1.).

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2024-2025 სასწავლო წლის მაისი;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: პირველი სტანდარტის 1.2 კომპონენტი, მეორე სტანდარტი სრულად - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა მესამე სტანდარტის 3.1, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტები.

3. სსიპ - ქალაქთბილისის №29 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, რომელიც ამავე დროს არისსაქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში ვერ მიიღებდა მონაწილეობას, რადგან სსიპ - ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლა იყო მისი ქვემდებარე სკოლა.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ჯაშმა და დიმიტრი ქარსელაძემ. ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 08 და 09 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა ძველი თბილისის რაიონში, ნინოშვილის ქ. N39-ში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 860 მოსწავლე.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსებსა და ინფრასტრუქტურაზე და წარმოადგინა ფოტო-მასალა. სკოლა განთავსებული იყო ოთხსართულიან შენობაში. დაწესებულება აღჭურვილი იყო კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით, რასაც აქტიურად იყენებდნენ, როგორც მოსწავლეები, ისე მასწავლებლები, სკოლის ძლიერი მხარე იყო ტექნოლოგიები. სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკა და მცირე სამკითხველო. კეთილმოწყობილი, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით, სტანდარტის შესაბამისი სველი წერტილები. რაც შეეხებოდა სკოლის ადაპტირებულ გარემოს, სკოლას წინა შესასვლელიდან პანდუსი არ ჰქონდა თუმცა უკანა შესასვლელიდან შესაძლებელი იყო პანდუსით სარგებლობა. ასევე, დაწესებულებას ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილები.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ოთხივე სტანდარტის მიხედვით შეისწავლა სკოლის დოკუმენტაცია. პირველი სტანდარტის განხილვისას, ექსპერტმა, ლელა

ჯაშმა, საუბარი დაიწო სკოლის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით, მან აღნიშნა, რომ სსიპ-ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის დირექციას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული სკოლის საჭიროებების კვლევა და კვლევის შედეგზე დაფუძნებული მართვის სტრატეგია. სკოლის დირექციამ ინტერვიუირების პროცესში დაადასტურა, რომ სკოლის ფილოსოფიაში სრულად არ იყო ასახული სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მან ახალი, დაწესებულებაზე მორგებული მისიის, ხედვის და ღირებულებების შედგენის, განხილვისა და გაზიარებისთვის, აწარმოა სკოლის პედაგოგების, მოსწავლეების და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მასშტაბური, ელექტრონული გამოკითხვა. ექსპერტები ვიზიტის დროს გაეცნენ გამოკითხვის ინსტრუმენტის შინაარსსაც. კვლევის დასასრულს განხორციელდა გამოკითხვის შედეგების ანალიზი, რომლის საფუძველზეც აისახა გარკვეული ცვლილებები მისიის, ხედვის და ღირებულებების არსებულ ჩანაწერში. ქსპერტმა, ლელა ჯაშმა, განაცხადა, რომ პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტში ხარვეზი არ დაფიქსირებულა და აღნიშნული სტანდარტები შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ სკოლას ყველაზე მეტი გამოწვევა ჰქონდა მესამე სტანდარტში, სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში დაფიქსირებული გარემოებები და არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, სკოლამ დეტალურად გაწერა ვადები, თუ რა ვადებში შეძლებდნენ აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრას. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფდა ცვლილებებს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლის გარკვეულ მასწავლებლებს (სულ 2) არ ჰქონდათ ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ. სკოლამ წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 3.1.2.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადა დასრულებული იყო (15.06.2023წ.). შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა როგორც სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ სკოლაში ექიმის კაბინეტი სრულად იყო აღჭურვილი, ექიმის კვალიფიკაციაც შეესაბამებოდა კანონით დადგენილ მოთხოვნებს. თუმცა, სკოლაში ექიმის არსებული საშტატო ერთეული არ აკმაყოფილებდა 2022 წლის 21 მარტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით №41/ნ/01-23/ გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კერძოდ, მოსწავლეთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობიდან გამომდინარე (860), სკოლას არ ჰყავდა მეორე ექიმი.

ასევე, დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი. სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით (შენობის მდგრადობა), დაწესებულებამ წერილობით მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. სკოლაში დამონტაჟებული იყო უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული იყო საევაკუაციო გეგმა. სკოლამ წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებული იყო 17.07.2023-18.07.2024. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა არ იყო სრულად ადაპტირებული სსსმ მოსწავლეებისათვის. კერძოდ, სკოლის შესასვლელში იყო პანდუსი (უკანა ეზოს მხრიდან), პირველ სართულზე იყო ორი ადაპტირებული სველი წერტილი. თუმცა, ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის არ იყო ხელმისაწვდომი სკოლის ყველა კაბინეტი. კერძოდ, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული დარბაზი. სკოლამ წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 3.5.1.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად

მითითებული იყო 18.07.2023-18.07.2024. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა აღნიშნა, რომ სკოლას, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს არ ჰქონდა ვებ-გვერდი. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 3.6.3.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებული იყო 17.07.2023-15.09.2023. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა დაწესებულების ეზოს მგომარეობით. დაწესებულების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ირმა ჩარტიამ განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში ახალი დასრულებული იყო სკოლის მესამე სართულის ფლიგელის გარემონტება, რომელიც ხორციელდებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ. ვიზიტის პერიოდში ვერ მოხერხდა იმ დროისთვის ეზოს მოწესრიგება, მაგრამ მოცემული მომენტისთვის სკოლის ეზო სრულად მოწესრიგებული იყო.

საბჭოს მდივანი, მანანა ჯინჭარაძე დაინტერესდა კაბინეტ-ლაბორატორიებზე წვდომასთან დაკავშირებით, თუ რამდენად იყო სკოლაში ინკლუზიური გარემო. ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ სკოლაში ლაბორატორიებთან მისასვლელად იყო რამდენიმესაფეხურიანი კიბე, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მომხდარიყო პანდუსის დამონტაჟება. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, დაწესებულების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ უკვე მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, დაწესებულებას ჰქონდა მიწერილობა იფრასტრუქტურის სააგენტოს მხრიდან, რომ უმოკლეს დროში ადგილზე შეისწავლიდნენ პრობლემას და მითითებულ ვადებზე ადრე მოხდებოდა აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 860-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლას (ს/კ: 202887634) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და

მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 860 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 2.)
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2024 წლის სექტემბრამდე;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგი ფარგლები: მესამე სტანდარტის 3.1, 3.4, 3.5, და 3.6 კომპონენტები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა